


საქართველოს



იმისთანა წმინდა საცმეში,
ბეჭდით ბეჭდუდი სიფყვას,
ცყილებით და ჭბრბით ბუბთის
გაცანა ყუულა უჯადისდბაჭ
უსამაგლესია.

დაარსებულია
1918 წელს.

სუთხაბათი, **12** ივნისი, 2014 წელი.
№112 (7493)

რუსკულუკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.

საყდრისის უპოპეა ⑥ ახლა იწყება!



დეტონატორი პრაქტიკულ რეპონებში ③

**კიდევ ერთხელ
გვიჩვენა უფალმა თავისი
წყალობა და მადლი**

გუშინ სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში წირვის დასრულების შემდეგ კათოლიკოს-პატრიარქმა მრევლს ტრადიციული ქადაგებით მიმართა და აღნიშნა, რომ დღეს სამი მნიშვნელოვანი დღესასწაული აღინიშნება – ჯვრის თავგანისცემა, რომელიც გამოჩნდა ცაზე წმინდა ნინოს დროს, ლომისობის წმინდა გიორგის დღესასწაული და ახალი ეპისკოპოსის კურთხევის დღე.

პატრიარქის განცხადებით, კიდევ ერთხელ გვიჩვენა უფალმა თავისი წყალობა და მადლი.

უნწმინდესმა გერმანიისა და ავსტრიის ახლად არჩეულ ეპისკოპოს ლაზარეს წმინდა სინოდისა და ხალხის სახელით ეპისკოპოსის დიდი მადლის მიღება მიულოცა.

– ჩვენ კიდევ ერთხელ ვნახეთ წყალობა უფლისა, მადლობას შევწირავთ ამისთვის უფალს, გერმანიისა და ავსტრიაში მრავლად არის ქართველი მოსახლეობა, თქვენ ყურადღება უნდა გამოიჩინოთ მათ მიმართ. თქვენ წმინდა სინოდმა განგანესათ იმისთვის, რომ არა იქ დარჩეთ, არამედ წმინდა სინოდმა აგირჩიათ იმისთვის, რომ მოუყაროთ თავი ყველა იქ მყოფ ქართველს და დააბრუნოთ საქართველოში და თქვენც დაბრუნდეთ საქართველოში. თქვენ უნდა იყოთ მაგალითი მათთვის და ყველა ქრისტიანისათვის, – აღნიშნა კათოლიკოს-პატრიარქმა.


ჩინულის გაპოისობით წყალობს ④ გაუდაბნობა ეპოქა?



ავტოდილერები – პრობლემის პირისპირ ⑪



ქალთა ბალანსი – ჰეგემონის ⑤ წინააღმდეგ



ნება გაქვეულებიც მობრუნდებიან? ⑦



რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სვამან ვერ ნახავ!..

ინფორმაცია

სააპკომისიოს ბიძამ ბიზნესმენს მილიონი დოლარი უპაწმინდა

ბიზნესმენს გიორგი კაპანაძის განცხადებით, ყოფილი პრეზიდენტის მისხელი სააკაშვილის ბიძას თემურ ალასანიას ბიზნესის დივიზიონების მიზნით მილიონი დოლარი გადაუხადა...

მისი თქმით, 2004 წელს მას და მის პარტნიორებს, რომლებიც ზესტაფონის ფეროშენადნობი ქარხნის აქციონერები იყვნენ...

ჩვენ ვივარაუდებთ, რომ კომპანია და ეს იყო კერძო მფლობელთა შორის არსებული სანაწარმო. მისი პრივატიზაცია ჩვენზე ზნულის გარეშე შეუძლებელი იყო. მაგრამ თქვენთვის იყო დაკავებული ზესტაფონის ქარხნის წილების აღრევით...

მისივე თქმით, პრობლემების გამო რესტორან „ძველ სახლში“ შესვდა თემურ ალასანიას, რომელიც მას პრეზიდენტთან დახმარებას დაჰპირდა...

ალბანეთი ჩემი სამხედრო პარტნიორი გახდება

საბარტნიოროს და ალბანეთს შორის სამხედრო თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება გაფორმდება. ამის შესახებ საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ გუშინ თავის ალბანელ კოლეგასთან...

ალბანეთმა გაიარა ის გზა, რომელსაც დღეს გადის საქართველო. დეტალური საუბრები გვიქონდა დღევანდელ შეხვედრაზე...

მან მადლობა გადაუხადა ალბანელ კოლეგას საქართველოს ნატოში გაწევრიანების ღია მხარდაჭერისთვის. ირაკლი ალასანიას განცხადებით, სექტემბერამდე ქართულ მხარეს ექნება აქტიური თანამშრომლობა...

ყოფა

„ყაზბრანსგაზ თბილისი“ კიდევ ერთხელ უნდა გაიყვანოს, — ეს ინფორმაცია უკვე რეგიონალურმა ბიზნესმა დაადასტურეს.

ყაზახეთის მთავრობის გლობალური პრივატიზაციის გეგმა, „ყაზბრანსგაზის“ შვილობილი კომპანიების გაყიდვას ითვალისწინებს და ასტანაში უკვე ეძებენ ინვესტორებს...

შეგახსენებთ, რომ 2006 წელს შპს „თბილისი“ ყაზახურმა კომპანიამ „ყაზბრანსგაზმა“, 12 მლნ 500 ათას დოლარად შეიძინა. დაგროვილი დავალიანების გამო კომპანიას დროებითი მმართველი ჰყავს...

ხომ არ არსებობს საფრთხე, რომ „ყაზბრანსგაზ თბილისი“ გასხვისების შემთხვევაში თბილისის გაზამაზნაპროექტი კომპანია ისევ რუსეთის ხელში აღმოჩნდეს? — ამ საკითხზე კომენტარისგან ჩვენი მთავრობის წარმომადგენლები თავს იკავებენ...

ნეჯმენტის ცვლილების შესახებ ჯერჯერობით ჩვენთვის არაფერია ცნობილი და რადგან ეს ყაზახეთის მთავრობის გადაწყვეტილებაა...

არჩევანი ცუდსა და უარესს შორის? „ყაზბრანსგაზ თბილისი“ იყიდება! სტატიის შიდა ნაწილი, რომელიც მკითხველს სთავაზობს არჩევანს ცუდსა და უარესს შორის.

ეს იქნება კიდევ ერთი დასტური იმისა, რომ საქართველოს ენერგეტიკა რუსეთის საკუთრებაა და ჩვენ რუსეთის კოლონი ვართ...

რუსული „გაზპრომი“ თუ აზერბაიჯანული „სოკარ“? ზოგიერთები კითხულობენ — „სოკარი“ ხომ არ უკეთესია? ეს იცით რომელ გამოთქმის მაგონებს? — წყალნადები უნდა აწვებოდეთ...

წინასაარჩევნო დაპირებები

ბურჯანაძე და მოხუცთა ილია კალაძის წინააღმდეგ

ბურჯანაძის კომპლექსური ნებართვების მინისტრ კახი კალაძის საინფორმაციო-მხარდაჭერო აქცია გაიმართა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ „ბურჯანაძე — ერთიანი ოპოზიციის“ ბათუმში, რუსთაველის უბნის მავორიტარობის კანდიდატმა ბიზნესმენმა და პარტიულმა მოძრაობამ გადაწყვიტა...



ჩაიარა, 50-მდე პირი ესწრებოდა. კახა კალაძემ „რუსთავი 2“-ის გადაცემა „არჩევანში“ განაცხადა, რომ 26 მაისს, როდესაც ახალგაზრდა ბიჭებს ხელკეტებით სცემდნენ, ბურჯანაძის ესკორტი „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ გაკეთებული კორიდორით გაიქცა...

მოდა და კახი კალაძემ თავისი განცხადებით მათ შეურაცხყოფა მიიყენა. არჩევანამდე რამდენიმე დღით ადრე მე უნდა ვსაუბრობდე წინასაარჩევნო პროგრამაზე...

მისივე განმარტებით, კალაძემ დასავლეთ საქართველოში ყოფნის დროს დაინახა, რომ არჩევნებს აკბანს და რეალური კონკურენტი მათთვის „ბურჯანაძე“ ერთიანი ოპოზიციასაა. ნინო ბურჯანაძემ პრესკონფერენციაზე აგრეთვე წარმოადგინა „ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატების პლაკატები...

ვილის განცხადებებს, — განაცხადა ნინო ბურჯანაძემ. მისივე თქმით, ნაციონალური მოძრაობის განცხადებით ვითლად დადასტურდა, რომ „ქართული ოცნება“ და „ნაციონალური მოძრაობა“ ერთი და იგივეა.

„ნაციონალიზმი“ ქართულ ოცნებას, არ გაბედონ არჩევანების გაყვლა, — ამის შესახებ კოალიცია „ნინო ბურჯანაძე — ერთიანი ოპოზიციის“ ლიდერმა ნინო ბურჯანაძემ „რუსთავი 2“-ის გადაცემა „არჩევანში“ სტუმრობისას განაცხადა.

აშშ-ის სამხედრო აკადემია „ვესტ-პოინტში“ პრეზიდენტ ბარაკ ობამას გამოსვლას საყოველთაო მედიური ყურადღება მოჰყვა, მაგრამ არც ისეთი, რასაც თეორიულად და ადმინისტრაციულად მოლოდინი იქნებოდა.

მაინც, რა ისეთი იქნება „ვესტ-პოინტში“, რის განხორციელებაზე გაჭირდება? „ვესტ-პოინტის“ გამოსვლა ძირითადად აშშ-ის პედაგოგიური განმტკიცების დიდი სულისკვეთებით იყო გაუქვნილი.

პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ აშშ შეუცვლელი ქვეყანაა; რომ ამერიკული იდეალებისადმი პატივისცემა და, რაც მთავარია, გაზიარება დაამყარებს ნესრიგს მთელს მსოფლიოში, ისეთს, როგორც აშშ-ს სურს.

პრეზიდენტმა რუსეთიც არ დაივიწყა და თქვა, რომ აშშ-მა შეძლო რუსეთისთვის დაენახებინა ძალა, რომელმაც მოახდინა რუსეთის ამბიციური გეგმებისთვის ნერტილის დასმა.

„ვესტ-პოინტის“ გამოსვლა იმითაა ყურადსაღები, რომ აშშ ისევე, როგორც ადრე, იბრძოლებს ერთპოლუსიანი მსოფლიოს განმტკიცებისთვის, რაც თავისთავად გულსხმობს მრავალპოლუსიანობის იდეის მატარებელ ქვეყნებთან პერმანენტულ დაპირისპირებას.

21-ე საუკუნის მეორე დეკადის დასაწყისში აშშ-ს ერთპიროვნულ მსოფლიო მმართველობას, რომ სერიოზული პრობლემები აქვს გაჩენილი, ფაქტია. ისიც ფაქტია, რომ ეკონომიკურ-სამხედრო პოტენციალით გაძლიერებული ჩინეთ-რუსეთი, „ბრიკის“ სხვა წევრების სახელმწიფოები ტოლს არ უდებენ ჰეგემონს და მზად არიან, თვალწინ ააცალონ საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად მოპოვებული პირველობა.

აქვს თუ არა რუსეთ-ჩინეთის სურვილი, ჩაანაცვლონ აშშ-ს მსოფლიო პირველობა? რასაც ისინი მოითხოვენ – არის მსოფლიო საკითხების პარიტეტულ საფუძველზე გადაჭრა, ურთიერთპატივისცემა და თავშეკავებული ქმედება.

„ვესტ-პოინტ“-მა ნათლად გამოავლინა ის, რომ აშშ არათუ მზად არ არის მსოფლიო თანაბრობისთვის, არამედ პირიქით – მოითხოვს ამერიკული ჰეგემონიზმის დაკანონებას დღეს და მომავალშიც. ერთის შეხედვით, თითქოს მსოფლიო ბატონობას წინ არაფერი ელოდება, ვინაიდან მეტოქეები, როგორც ეკონომიკური, ისე სამხედრო თვალსაზრისით, ჩამორჩებიან აშშ-ს, მაგრამ ეს მხოლოდ ერთის შეხედვით. თვით აშშ-ის სპეციალისტების აზრით, მთავარი მეტოქე ჩინეთი, 5 წლის შემდეგ მსოფლიოს პირველი „ეკონომიკა“ გახდება და გვერდით ჩააჩრებს აშშ-ს.

არანაკლებ პოტენციალს ავლენენ ინდოეთი, ბრაზილია, სხვა ქვეყნები. რაც შეეხება რუსეთს და მის სამხედრო ძალას – ერთადერთია, რომელიც სრულ თანაფარდობაშია აშშ-ს სამხედრო მანქანასთან. სწორედ ეს ინვესტ აშშ-ის ადმინისტრაციის შემოფარებას, ვინაიდან მსოფლიო პირველობის მთავარი გარანტი ძლიერი სამხედრო მანქანაა. სამხედრო მშენებლობის საქმეში მოპოვებული წარმატება მრავალმეტყველია. სწორედ ამიტომაც მილიონობით დოლარი იხარჯება როგორც ერთის, ისე მეორის მიერ.

ამ დარგში ყურადღების მოდუნება თვითმკვლევობის ტოლფასი იქნება. იქნება ახალი იარაღი, იხვეწება ძველი, ფართოვდება გავლენის სფეროები და იქნება ახალი სამხედრო ბაზები. სამხედრო ბაზების თვალსაზრისით, აშშ-ს ბადალი არ ჰყავს მსოფლიოში. მსოფლიო კუთხეებში დაცურავენ ამერიკული ავიამბიდეები. ნებისმიერი ამერიკული ეკონომიკური წარმატება სამხედრო პოტენციალით არის გამაგრებული. ამ საქმეში უდიდესი წვლილი შეაქვს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში განლაგებულ სამხედრო ბაზებს.

უკრაინის კრიზისმა ხელ-ფეხი გაუხსნა აშშ-ის სამხედრო გაფართოების გეგმას, განსაკუთრებით ბალტიისპირა ქვეყნებსა და აღმოსავლეთ ევროპის ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში. აღნიშნულ ქვეყნებში მოსალოდნელია აშშ-ის სამხედრო ბაზების შექმნა, რომელთა მთავარი მიზანი რუსეთის მოსალოდნელი აგრესიის შეკავებაა.

რუსული სამხედრო პოტენციალის იმპოტენციის კენ არის მიმართული ამერიკული რაკეტსანიშანობიერი სისტემების პოლონეთ-რუმინეთში განთავსება. აღნიშნული სისტემების ევროპაში განთავსების წინააღმდეგ რასხანა გამოდის რუსეთი. 12 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა მოლაპარაკება მოსკოვ-ვაშინგტონის შორის ამ საკითხზე, მაგრამ უშედეგოდ. დღეს, მოლაპარაკება შეწყვეტილია, ვინაიდან აშშ-ს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი რაკეტსანიშანობიერი სისტემების ევროპაში განთავსება.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის ალასანიას განცხადებამ, გაკეთებულმა აშშ, კიდევ ერთხელ წამოსწია წინ ამ თემის აქტუალობა.

ის, რომ საქართველო 2004 წლიდან მოყოლებული,

2012 წლის ოქტომბრამდე, სააკაშვილისა და ნაცების პროვოკაციების გენერატორად იყო მიჩნეული, ფაქტია. ისიც ფაქტია, რა გამოიწვია მსგავსა პროვოკატორობამ – ტერიტორიების დაკარგვა და დაკარგულზე ორი რუსული სამხედრო ბაზის გახსნა. ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ, თითქოს ნერტილი უნდა დასმოდნა წინა ხელისუფლების პროვოკაციულ გამოხდომებს, მაგრამ სამწუხაროდ, არ დაესვა, რაც იმის მაუწყებელია, რომ სააკაშვილის ავანტიურისტული პოლიტიკა დღესაც მოქმედებს, რამაც სერიოზული ზიანი შეიტანა მოუტანოს ქვეყანას.

აშშ-ში ვიზიტად მყოფმა ალასანიამ, თხოვა მას-პინძლებს რაკეტსანიშანობიერი სისტემების საქართველოში განლაგება. თხოვა, თუ ათხოვნიან? არც ერთია გამორიცხული და არც მეორე. სრული შესაძლებელია, ანტირუსულად აქოჩრილმა ამერიკულმა პოლიტიკამ, ათქმევინა მინისტრს „ბრძნული“ სიტყვები საჭირო თავდაცვით სისტემების საქართველოში განლაგების თაობაზე.

ქალთა ბალანსი – ჰეგემონის წინააღმდეგ



ბარაკ ობამას სამხედრო აკადემია „ვესტ-პოინტში“ გამომთქული მოსაზრებები

უკრაინის მოვლენებიდან გამომდინარე, აშშ-ის ადმინისტრაცია ყველაფერს იყენებს რუსეთის ხელისუფლების წინააღმდეგ და სულაც არ არის გამორიცხული, რომ ალასანიას ნათქვამის ავტორიც თვითონ იყოს. თუმცა, არსებობს ლოგიკა – მტკიცედ და შეუფალი – აშშ არ განალაგებს რაკეტსანიშანობიერი სისტემებს რუსული სამხედრო ბაზების სამკუთხედში – აფხაზეთი, სამხრეთ ოსეთი, სომხეთი, ვინაიდან მსგავსი გადაწყვეტილება კრახისთვის არის განსაკუთრებით რამ – მინისტრის უმეცრება ან განცხადება გალიზიანებისთვის.

არც ერთია გამორიცხული და არც მეორე. დაეუვათ და ვაშინგტონი გაიყუდა და დადგა თავისი სისტემები საქართველოში, ვინ მოემსახურება მას? უპირველეს ყოვლისა, ამ საქმეში განვრთნილი ამერიკელი სამხედრო მოსამსახურეები. ანუ იქ, სადაც ეს სისტემა განლაგდება, ქართველი სამხედროს ჭაჭანება არ იქნება. საქართველო იქნება გეოგრაფიული ტერიტორია, უფრო სწორად, პოლიტონი. ამერიკელი სამხედროების საქართველოში გამოჩენა ნიშნავს სამხედრო ბაზას, რაც უაღრესად გამაღიზიანებელი იქნება რუსეთისთვის.

ბოლოდროინდელ განცხადებაში რუსეთის პრეზიდენტმა არაორაზროვნად განაცხადა, რომ წინააღმდეგია უკრაინა-საქართველოს ნატოში შესვლის. და ასეთ დროს ანტისარაკეტო სისტემები საქართველოში?

სულ ახლახანს, აშშ-მა ამცნო მსოფლიოს ჰავაის კუნძულებზე სახმელეთო ბაზირების სისტემა Aegis გამოცდის თაობაზე. სწორედ ეს სისტემა, იმავე დასახელების საზღვაო სისტემებთან ერთად, განთავსდება რუმინეთსა და პოლონეთში და შექმნის რაკეტსანიშანობიერი სისტემა. შედეგი – ვაშინგტონი შეძლებს, დაიჭიროს კონტინენტური რუსული ბალისტიკური რაკეტები ფრენის დაწყების სტადიაში. აღნიშნული სისტემის წარმატებულმა გამოცდამ რეალური გახადა ევროპის რაკეტსანიშანობიერი სისტემის რეალიზაცია.

თერთმეტი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა ეს გამოცდები, დაახლოებით 800 მილიონი დოლარი. ამჟამად არსებობს Aegis სისტემები – ხმელეთზე და სამხედრო გემებზე ბაზირების. ორივე შემთხვევაში მოქმედებს დამჭერი რაკეტები SM-3. სახმელეთო Aegis ერთდროულად აქვს 24

რაკეტა. მომავალში შესაძლებელია რაკეტების რაოდენობის გაზრდა.

ეს სისტემა განთავსდება რუმინეთის სამხრეთით დევსელუს სამხედრო ბაზაზე. რუმინეთის ტერიტორიაზე განთავსდება 24 რაკეტსანიშანობიერი SM-3. პოლონეთში განთავსდება 24 სისტემა, ქალაქ სლუცკის სიახლოვეს. რუმინეთში რაკეტსანიშანობიერი სისტემა ამოქმედდება 2015 წელს, პოლონეთში – 2018 წელს. 48 რაკეტა არის ნაწილი სისტემებისა, რომლებიც განთავსდება ევროპაში. ამას ემატება აღნიშნული რაკეტების მატარებელი 13 საბრძოლო გემი.

აშშ-მა აღმოსავლეთ და სამხრეთ ევროპაში უკვე განალაგა 5 სამხედრო ბაზა. მათი დანიშნულება ძირითადად რუსული სარაკეტო სისტემების განეიტრალებაა, ანუ ვიდრე კონტინენტური რაკეტა, გასვებიდან წელწელადის ჰაერში და იწყებს დიდი სისწრაფით ფრენას.

რას მისცემს რაკეტსანიშანობიერი სისტემა აშშ-ს? უპირველესად, რუსული ბალისტიკური რაკეტების ფრენის დასაწყისში განეიტრალებას და საპასუხო დარტყმის განხორციელებას. რაკეტსანიშანობიერი სისტემებში უპირატესობის მოპოვება ნიშნავს რუსული ბალისტიკური კონტინენტური რაკეტების სრულ იმპოტენციას და საბოლოო ჯამში ქვეყნის დამარცხებას, თანაც ყოველგვარი ომის გაჩაღების გარეშე.

ომის წარმოება აზრს დაკარგავს, ვინაიდან ფრენის დაწყების პროცესში განადგურებული ბალისტიკური რაკეტა, მიზანს ვერ მიაღწევს, ხოლო მოწინააღმდეგე, რომელიც გაანეიტრალებს მას, შეძლებს პირველი დარტყმის განხორციელებას და რუსული სამხედრო ობიექტების განადგურებას.

რას მოიმოქმედებს რუსეთი? უპირველეს ყოვლისა, ყველა იმ ობიექტს მიზანში ამოიღებს, სადაც განლაგებული იქნება რაკეტსანიშანობიერი სისტემა. კულმინაციურ მომენტში მათი სხვა რაკეტებით განადგურება იქნება მისთვის ნომერ პირველი ამოცანა. გარდა ამისა, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ სამხედრო მშენებლობაში დასაქმებულმა რუსმა მეცნიერებმა შეძლეს ისეთი დამკვეთური ბალისტიკური რაკეტის შექმნა, რომელიც გადალახავს რაკეტსანიშანობიერი რაკეტის ამერიკული ქოლგას და გაანადგურებს მიზანში ამოღებულ ობიექტებს.

როგორც ერთი, ისე მეორე ქვეყნის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსები მზად არიან, ახალ-ახალი გამოგონებით მიიპყრონ ერთმანეთის ყურადღება. საკმარისი იქნება, რომელიმე მათგანის ოდნავი ჩამორჩენა, რომ სამხედრო ძალთა ბალანსი დაირღვეს. დარღვევა კი, როგორც უმეცრის მაცდური ძალა, ისე იმოქმედებს ორივეზე, რამაც შეიძლება მსოფლიო კატასტროფა გამოიწვიოს. ორივე მხარის მიერ დაგროვილი იარაღი, მათ შორის ბირთვული, სრულიად საკმარისია დედამინის არაერთხელ განადგურებისთვის.

და ყოველივე აღნიშნული მსოფლიოს პირველობისთვის. „ვესტ-პოინტში“ წარმოთქმული სიტყვა სწორედ ამ გეგმის მაუწყებელია, ანუ იმისა, რომ 21-ე საუკუნეში აშშ იბრძოლებს ჰეგემონის პოზიციების შენარჩუნებისთვის, ანუ იმისთვის, რომ მთელი მსოფლიო თვალში შეესციცინებდეს აშშ-ს, იზიარებდეს მის ნებისმიერ მოწოდებას, იყოს ისეთივე იდეალების მატარებელი, როგორც თვითონ არის.

მაგრამ ცხოვრება იცვლება, მასთან ერთად იცვლება არა მარტო პატარა ქვეყნების დამოკიდებულება ერთმანეთთან და დიდ ქვეყნებთან, არამედ დიდთა ერთმანეთთან დამოკიდებულებაც. მართალია, აშშ ჯერჯერობით ინარჩუნებს მსოფლიო უანდარშიის პოზიციებს, მაგრამ მხოლოდ ჯერჯერობით.

უჭირთ სხვა დიდებს ამერიკული დიქტატის ატანა, რაც იმის მაუწყებელია, რომ ერთად შეკრულნი, ყველაფერს იღონებენ ჰეგემონის ამბიციების მოთოვებისთვის, საბოლოო ჯამში მისი განეიტრალებისთვის. წინააღმდეგ შემთხვევაში, თვით ისინი აღმოჩნდებიან მარად მორჩილი სახელმწიფოს როლში. ის, რომ მსგავსი პერსპექტივა სულაც არ ხიბლავთ ჩინეთს, რუსეთს, ირანს, სხვებს, ფაქტია. ფაქტია ისიც, რომ ამერიკა მუდამ პირველობას აპირებს; რომ ის წინააღმდეგია მრავალპოლარული მსოფლიოს; რომ ის უძლეველი იმპერიაა და ასეთად დარჩება მრავალი ათეული წლის, საუკუნის განმავლობაში.

კაცობრიობის მრავალსაუკუნოვანი არსებობის მანძილზე არაერთი იმპერია აღმოცენდა, განვითარდა და დაიქცა. მარტო რომის იმპერია რად ღირს. ყველა მათგანს თავი მარადიულად წარმოედგინა, რამაც სრულიად სანაიალმდეგო ძვრები გამოიწვია.

თვლი შევავლოთ სპარსეთის, ჩინეთის, თუნდაც რუსეთის მრავალსაუკუნოვანი ისტორიას, განვიხილო ქართველებს, ომებს, ნგრევას და აღმშენებლობას. სწორედ განვიხილოთ ცხოვრებამ ასწავლა მათ ის, რომ მარადიული მსოფლიო ბატონობა ისეთივე აბსტრაქციაა, როგორც მარადიული ბედნიერება.

სანმოკლე ისტორიის მქონე ახალგაზრდა ამერიკა, განვითარების ზენიტში მყოფი, ვერაფრით ითავისებს იმპერიული მარადისობის აბსურდულუბას, რაც მის სრულ ისტორიულ გამოცდებობაზე მეტყველებს. მაგრამ ერთია, დიდი ქვეყნის, თანაც ჰეგემონის გამოუცდებლობა და აქედან გამომდინარე ამბიციები, და მეორეა, სხვათა ისტორიული გამოცდებობა და სურვილი ჰეგემონის შეჩერებისა. ამ საქმეში ძალთა ბალანსი ჰეგემონის სანაიალმდეგო მხარეს არის გადახრილი.



ჰამლეტ შიპაშვილი, პოლიტოლოგი.

თავისუფალი ეკონომიკური ზონა

სხვადასხვა ტიპის ეკონომიკური მოედნები — თავისუფალი ეკონომიკური და ინდუსტრიული ზონები, ტექნოპარკები და სხვ., მსოფლიო მრავალ ქვეყანაში დიდი წარმატებით მოქმედებენ და ადგილობრივი ეკონომიკების განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ. ჩვენთან კი თანამედროვე ეკონომიკის ეს მეტად მოხერხებული ინსტრუმენტი ვერა და ვერ გამოიყენეს ჯეროვნად, თუმცა, ეს არაერთხელ უცდიათ.



რიაზე მხოლოდ რამდენიმე მშენებარე ობიექტია, რომელთა დასრულებას თითქოს წლის დასრულებამდე ვარაუდობენ. ამასთან, ცალკე აღსანიშნავია ისიც, რომ თავდაპირველად დაანონსებული ათი ათასი კაცი ნაცვლად, იქ ამჟამად ორი ასეული კაცი თუ მუშაობს (!). ასევე მეტად საგანგაშოა ის გარემოება, რომ ფოთის თიზის არსებობის მანძილზე იქ დარეგისტრირებული კომპანიებიდან 110-მა ლიცენზიაზე სხვადასხვა დროს უარი განაცხადა. ისიც უნდა ითქვას, რომ თუ უახლოეს დროში საერთო მდგომარეობა ძირფესვიანად არ შეიცვლება, იქიდან ისინიც გავლენ, რადგან წლების მანძილზე მხოლოდ მოლოდინისა და დაკვირვების რეჟიმში არიან, საქმიანობას კი, როგორც პრაქტიკა მოწმობს, ზონის საზღვრებს მიღმა ინყებენ და ლიცენზიებს აუქმებენ, რადგან მასში ფულის გადახდას სახსრების ფუჭად ფლანგვად მიიჩნევენ.

ბოლო ასეთი წარუმატებელი ცდა ჯერ კიდევ ქალბატონ ვერონიკა ქობალიას ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრად ყოფნის დროს იყო, როცა თბილისის თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნაზე თავდაპირველად აქტიურად ალაპარაკდნენ, მაგრამ შემდეგ ეს პროცესი, ფართო საზოგადოებისთვის გაურკვეველი მიზეზებით ჯერ უსაშველოდ გაინელა, შემდგომ კი საერთოდაც მიჩურმათდა. ეს პერტებისა და სპეციალისტების შეფასებით, წინა წლებში თავისუფალი ეკონომიკური ზონების სრული მასშტაბით ამოქმედება ვერ მოხერხდა საქართველოში არახელსაყრელი პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამო, თუმცა, სიმართლე გითხრათ, ეს მიზეზი, ცოტა არ იყოს, გაუგებარია — რა „პოლიტიკური“ ვითარება უშლიდა ხელს წინა ხელისუფლებას ამის გაკეთებას, ძნელი სათქმელია. ეს, ალბათ, უფრო არასწორად წარმართულ ეკონომიკას უნდა მივაწეროთ, მაგრამ ამჯერად ამაზე ლაპარაკს თავი მივყვებით.

ნეტავ გაქსეულაბის მოპრუნდაბიან?

რიული ზონა ფოთში მოქმედებს, რომელმაც მოღვაწეობა 2010 წლის ბოლოს დაიწყო, რაც, უმთავრესად, საბაჟო კანონმდებლობაში მანამდე არსებული ხარვეზების გამოსწორებას უკავშირდება. ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა (თიზ) თავის დროზე „ქართული ეკონომიკის სასწაულად“ მონათლეს, თუმცა კი, ვფიქრობთ, ცოტა არ იყოს, ნაჩქარევად. შარშან ფოთის ინდუსტრიულ ზონაში დაახლოებით 250 ლიცენზიანტი კომპანია იყო რეგისტრირებული, რომლებსაც თიზ-ის ტერიტორიაზე საქმიანობის განხორციელებაზე სათანადო ნებართვა ჰქონდათ. მათ შორის მოცულობით ყველაზე დიდი სექტორი სავაჭრო პროექტებს უკავია, ხოლო საქონლის გადამამუშავებელი საწარმოების წილი, ფაქტობრივად, უმნიშვნელოა. თავის დროზე დაპირებული 400 საწარმოს ნაცვლად ამჟამად ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის ტერიტორიის დროზე „ქართული ეკონომიკის სასწაულად“ მონათლეს, თუმცა კი, ვფიქრობთ, ცოტა არ იყოს, ნაჩქარევად. შარშან ფოთის ინდუსტრიულ ზონაში დაახლოებით 250 ლიცენზიანტი კომპანია იყო რეგისტრირებული, რომლებსაც თიზ-ის ტერიტორიაზე საქმიანობის განხორციელებაზე სათანადო ნებართვა ჰქონდათ. მათ შორის მოცულობით ყველაზე დიდი სექტორი სავაჭრო პროექტებს უკავია, ხოლო საქონლის გადამამუშავებელი საწარმოების წილი, ფაქტობრივად, უმნიშვნელოა. თავის დროზე დაპირებული 400 საწარმოს ნაცვლად ამჟამად ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის ტერიტორიის

ქართულ ციხეში

წინა ხელისუფლების დროს ქართული ავიაკომპანიები მთავრობას უცხოური კომპანიების მიმართ მიკერძოებასა და ადგილობრივების სრულ იგნორირებაში ადანაშაულებდნენ. ამჯერად „აირზენას“ გენერალური დირექტორის იასე ზაუტაშვილის განმარტებით, მდგომარეობა რადიკალურად შეცვლილი. ხელისუფლება დაინტერესდა ბაზარზე შექმნილი პირობებით. წარმოსობილ პრობლემატურ საკითხებს კი ლარიბაშვილის მიერ შექმნილი ეკონომიკურ საბჭოში, ერთობლივად განიხილავენ... ზაუტაშვილს ქვეყანაში შექმნილი გარემო ბიზნესის განვითარებისთვის დადებითად მიაჩნია. ყოველივე ეს კი 2013 წლიდან გახდა თვალშისაცემი და ხელმოსაკიდ. სიტუაცია მკვდარი წერტილიდან დაიძრა. თურქულ კომპანია „ტავ ურბანთან“ განახლდა მოლაპარაკებები იმ კუხით, თუ რამდენად მართებულად ხორციელდება ოპერირება თბილისის აეროპორტში — აცხადებს „აირზენას“ გენერალური დირექტორი, იგი ამბობს, რომ ცოტა ხანში დაიწყება სამუშაო შეხვედრები ავიაციის დეპარტამენტთან და „ტავ ურბანთან“, რომელიც ნაციონალების „წყალობით“, გარკვეული ვადით ჩვენი საერთაშორისო აეროპორტის განმკარგველია.

თბილისი-ათენის მიმართულებით ასრულებენ რეისებს. მაგრამ იმის გამო, რომ პირობები გაუმჯობესებულია და დღით დღე უმჯობესდება, ჩვენს სათაო ოფისს კი ევროპის თითქმის ყველა ქვეყანასთან აქვს ურთიერთობები, ამბობს ბერძნული ავიაკომპანიის წარმომადგენელი საქართველოში, იგეგმება

რებისთვის მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა და ამ წინსვლით კმაყოფილი არიან როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოური ავიაკომპანიები, აუცილებლად რაღაც შედეგები უნდა მოჰყოლოდა, და მოჰყვა კიდევაც. ჩვენი ავიაბაზარი სულ უფრო მიმზიდველი ხდება. დღეისათვის თბილისის, ქუთაისის, ბათუმისა და მესტიის აეროპორტებიდან რეისებს 28 უცხოური ავიაკომპანია ასრულებს. სამომავლოდ კი მათი რაოდენობის გაზრდაა მოსალოდნელი. ზაფხულიდან ჩვენს აეროპორტებს შეემატება ჩეხური ავიაკომპანია „ჩეხური ავიახაზები“. ის კვირაში სამჯერ შეასრულებს პირდაპირ რეისებს პრატის მიმართულებით და პირიქით.

ადგილობრივი და უცხოური ავიაკომპანიები — თანაბარ პირობებში

საქართველოდან ამ კომპანიის მიერ რამდენიმე ევროპული ქვეყნის ბაზრის ათვისება, რასაც, ბუნებრივად, მგზავრთა ნაკადის ათვისებაც მოჰყვება. კოლეგის მსგავსად ქართულ ავიაბაზარზე შექმნილი ბოლოდროინდელი ვითარებით კმაყოფილია კომპანია „ბელავია“-ს საქართველოს წარმომადგენლობის დირექტორი ვახტანგ მეზურნიშვილი. იგიც აღნიშნავს მგზავრთა ნაკადისა და მგზავრთა ღირებულების სტაბილურობას. აგრეთვე იმ ყოველდღიურ ყურადღებასა და დახმარებას, რასაც მათ მიმართ იჩენს სამოქალაქო ავიაციის დეპარტამენტი. ყველაფერი ერთბაშად ვერ აღმოიფხვრება, ამბობს მეზურნიშვილი. არსებობს ნიუანსები, მცირე მნიშვნელობის პრობლემები, რომლებიც ამგვარი ურთიერთთანამშრომლობისა და თანადგომის პირობებში აუცილებლად გადაიჭრება სამუშაო პირობებში, მიაჩნია „ბელავიას“ წარმომადგენელს საქართველოში. იმას, რომ საქართველოს ავიაბაზარზე მდგომარეობის გამოსწორებისთვის მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა და ამ წინსვლით კმაყოფილი არიან როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოური ავიაკომპანიები, აუცილებლად რაღაც შედეგები უნდა მოჰყოლოდა, და მოჰყვა კიდევაც. ჩვენი ავიაბაზარი სულ უფრო მიმზიდველი ხდება. დღეისათვის თბილისის, ქუთაისის, ბათუმისა და მესტიის აეროპორტებიდან რეისებს 28 უცხოური ავიაკომპანია ასრულებს. სამომავლოდ კი მათი რაოდენობის გაზრდაა მოსალოდნელი. ზაფხულიდან ჩვენს აეროპორტებს შეემატება ჩეხური ავიაკომპანია „ჩეხური ავიახაზები“. ის კვირაში სამჯერ შეასრულებს პირდაპირ რეისებს პრატის მიმართულებით და პირიქით.

ავიაბაზარზე ბრუნდება რუსული ნავიგაციის გიგანტი „აეროფლოტი“. ჩვენს ავიასივრცეში შემოსვლა აქვს გადაწყვეტილი ირლანდიურ ავიაკომპანიას „რაინ ეარსაც“. ეს ფირმა აქტიურ მოლაპარაკებებს აწარმოებს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოსთან. საქართველოს აეროპორტების გაერთიანებაში ადასტურებენ, რომ საქართველოს საავიაციო ბაზარზე მნიშვნელოვანია უცხოური კომპანიების მატების პოზიტიური მაჩვენებელი, რაც, უპირველეს ყოვლისა, ქვეყანაში ტურიზმისა და საერთოდ ეკონომიკური განვითარების დადებითი ტენდენციებიდან განპირობებული. აეროპორტის გაერთიანებაში აღნიშნავენ, რომ ჩვენთან საავიაციო ბაზრის მაჩვენებელი 30 პროცენტის ფარგლებში მერყეობს. მაშინ, როდესაც ევროპის ქვეყნებში საერთო ზრდის მაჩვენებელი 4-5 პროცენტია. ჩვენი საავიაციო ბაზარი განიხილებს, როგორც მიმზიდველი და დიდი პოტენციალის მატარებელი, — ამტკიცებენ საქართველოს აეროპორტების გაერთიანებაში.

კაკალ გულში

წერტილოვანი ფრაზები

- ვინც ასმათის ბარში არ ხართ ნამყოფი, არ დამელაპარაკოთ!
- თორმეტი განრისხებული მამაკაცი უფრო საშიშია, თუ ერთი სასწრაფო დიასახლისი?
- მანიის სხვადასხვა სახეობა არსებობს: განდიდების მანია, დევნის მანია, მელომანია, ნარკომანია, ტოქსიკომანია, კლემენტომანია... „ქართულ ოცნებას“ წარმანია სჭირს.
- „ობლაკ-ობლაკ ტუმანი მოდის მალლა ციდანა, დაბეჭდილი ზაპისკა მოდის საყვარლიდანა“ ბარონესა ეფუტონს სამადლობელი წერილი გამოუგზავნა.
- ჩვენი პირველი დიპლომატიისთვის, — ყველაზე დიდ კონტრიბუტორები ხართ აფრიკაში.
- იმისთვის კონტრიბუტორები ვართ, ვინმე დიმიტროვისთვის — იმპლემენტატორები. ასეც და ისეც, ყველაზე დიდი.
- ისარე ქერო, მოკვდი მტერო!
- ახლა აღარ მოგწონთ ჩაშვების ინსტიტუტი ხო?!
- ვის შეუძლია, არასადურულ, ანუ ადამიანურ, მარტივ, გასაგებ ენაზე ამისხნას, რა არის დღგ (დამატებითი ღირებულების გადასახადი)?
- ამასთანავე, თუ დამარწმუნებს, რომ ეს გადასახადი ლოგიკური და სამართლიანია, მთლად უკეთესი, ანუ უარესი.
- მე მჯერა ოდესღაც ყველა გავიმარჯვებთ სადღაც, რაღაცაში, ნურავის დაწყდება გული, ნეტა იმის მესაყდის მისცა ყველა რიგით ქართველს, ვიდრე თუნდაც რიგით პოლიტიკოსს აქვს... ნე ვეზიოტ ვპოლიტიკე, პოვეზიოტ ილი გ კარტი ილი ვ ლუბვი...
- არც ერთ კანდიდატს არ დაცდენია კრინტი იმის თაობაზე, წინ ცხელი ზაფხული გვიდევს და ნუთუ სულ ასეთი წყალწყალა და უხარისხო ლუდი უნდა გვასგან? მერე რა, რომ ღვინის ქვეყანა ვართ.
- არ რა არის დაფარული, რაცა არ გაცხადდეს! ვინ იცის, რამდენი რამ არ ვიცით და რამდენი კიდევ არა-ადამიანური საშინელება აქვთ ჩადენილი, ამათი არჩევითის შავნელი არსებები ხომ ავტომატურად თანამონაწილენი ხდებიან და სატანას უგორდებიან მკლავებში!
- გენიალური იუმორის გრძნობა ჰქონია იმ მოსამართლეს (სამწუნსაროდ, გვარი არ ვიცის), რომელიც განიხილავს გიგი უგულავას სარჩელს, ქალაქის მერად მისი აღდგენის თაობაზე!
- კიდევ ერთხელ გადაუდო პროცესი და 20 ივნისს დაწინააღმდეგელები ვარ, 20-ში დაუკმაყოფილებს სარჩელს და გიგი გახდება „მინიმერი“ ანუ საბავშვო მერი, მერი პოპინსი რა!

რას წერენ, რას აზრობენ ჩვენზე

საქართველოში ამერიკა-საქართველოს სამხედრო სწავლება მიმდინარეობს

საბრძოლველ სამხედრო ბაზაზე ვაზიანში 9 ივნისს დაიწყო ამერიკა-საქართველოს ერთობლივი სამხედრო სწავლება. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციის თანახმად, სწავლებაში მონაწილეობას ღებულობს დაახლოებით 350 სამხედრო მოსამსახურე ამერიკის შეერთებული შტატების საზღვაო ქვეითი ჯარების კორპუსის საროტაციო ძალებიდან შავ ზღვაზე და 550 სამხედრო მოსამსახურე საქართველოს შეიარაღებული ძალების მეოთხე მექანიზებული ბრიგადის 42-ე ბატალიონიდან.

მეცადინეობა მიმდინარეობს 2011 წლიდან. მისი მიზანია — მოახდლოს ქართველი ჯარისკაცები ავღანეთში მოქმედებისთვის და გააუმჯობესოს კოორდინაცია სამხედრო ოპერაციების მიმდინარეობის დროს. სწავლების დროს წელს სამხედრო მოსამსახურეები შეასრულებენ ამოცანებს, რომლებიც გათვალისწინებულია სამხედრო მისიებისთვის: თვითნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობების ძებნა, კონტროლი და აღმოჩენა, ტერიტორიების გათავისუფლება ინსურგენტებისაგან, პატრულირება, საბრძოლო მომზადება და ა.შ. მიმდინარე წელს მეთვალყურეთა სტატუსით სწავლებაში მონაწილეობას ღებულობენ სამხედრო მოსამსახურეები თურქეთიდან, საფრანგეთიდან და რუმინეთიდან.

„ეს მეტად მნიშვნელოვანი სწავლებაა, რომელიც ხაზს უსვამს, რამდენად მყარია მიმდინარე თანამშრომლობა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის სამხედრო სფეროში, რომლის მთავარი მიზანია საქართველოს თავდაცვისუნარიანობის დამტკიცება და საქართველოს შეიარაღებული ძალების ნატოს სტანდარტებთან შეთანხმებული ამბავლება“, — განაცხადა საქართველოს თავდაცვის მინისტრის

რის მოადგილემ მიხეილ დარჩი-აშვილმა სწავლების დაწყების ცერემონიაზე.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თანახმად, სწავლება გაიმართება 3 ეტაპად და 19 ივნისს დამთავრდება.

ამერიკა-საქართველოს სამხედრო სწავლების დაწყების დღეს ცნობილი გახდა პარლამენტის არჩევნების შედეგები, რომელიც გაიმართა 8 ივნისს საქართველოდან გამოყოფილ სამხრეთ ოსეთში.

პარკინგის შეფასება

ნატომ, ევროკავშირმა, აგრეთვე უკრაინამ განაცხადეს, რომ არ აღიარებენ სამხრეთ ოსეთში გამართული პარლამენტის არჩევნების ლეგიტიმურობას, ვინაიდან ეს რეგიონი საქართველოს ნაწილად მიაჩნიათ. შეგახსენებთ, რომ რუსეთის გარდა საქართველოსგან გამოყოფილი აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებლობას აღიარებს 3 ქვეყანა — ვენესუელა, ნიკარაგუა და ნაურუ.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ, თავის მხრივ, ასევე განაცხადა ცხინვალის არჩევნების არალეგიტიმურობის შესახებ და ეს არჩევნები შეაფასა, როგორც „მორიგ წარუმატებელ მცდელობად, დამალონ ათობით ათასი ადამიანის წმენდა დემოკრატიული მართვის მოწვევებითი ელემენტების დახმარებით“.

„უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში საქართველოს ოკუპირებული რეგიონებიდან გამოდევნილმა ადამიანებმა დაკარგეს თავიანთ სახლებში დაბრუნების უფლებები, ხოლო რეგიონებში დარჩენილი მცირერიცხოვანი მოსახლეობის უფლებები ყოველდღიურად ირღვევა საოკუპაციო რეჟიმების მიერ“, ნათქვამია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს 9 ივნისის განცხადებაში.

სამხრეთი ოსეთის არჩევნებს სხვა შეფასება მისცა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ. „რუსეთში მიესალმებიან მეგობრულ სამხრეთ ოსეთში პარლამენტის წარმატებულ არჩევნებს, რაც ახალი მნიშვნელოვანი ნაბიჯია განაზრახვის სახელმწიფო ხელისუფლების ინსტიტუტების წინსვლითი მოძრაობის გზაზე“.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს პრეტენზია

სიტუაციამ საქართველოს მეორე გამოყოფილ რეგიონში — აფხაზეთში ასევე თბილისის პრეტენზია გამოიწვია. კერძოდ, ცნობილი გახდა, რომ წინა კვირას სოხუმში ვიზიტით ჩავიდა თურქეთის პარლამენტის ხუთი წევრი და გამართეს იქ შესვედრები პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელთან ვალერი ბგანბასთან და უღიარებელი რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელთან ვიარესლაგ ჩირიკბასთან.

ალსანი შნავია, რომ, როგორც წინა ხელისუფლება, საქართველოს ამჟამინდელი ხელმძღვანელობა ახორციელებს „სეპარატისტული რეგიონების უღიარებლობის პოლიტიკას“, რაც ასევე გულისხმობს პირდაპირი კონტაქტების დაუშვებლობას გამოყოფილი რეგიონების ხელმძღვანელებთან თბილისის გვერდის ავლით.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელის მოადგილე დავით ჯალაღანი 9 ივნისს შეხვდა თურქეთის ელჩს საქართველოში ზაკი ლევენტ ნიუმრიუქს, და საქართველოს საგარეო-პოლიტიკური უწყების ცნობის თანახმად, გამოთქვა „ნეგატიური“ დამოკიდებულება და „პროტესტი“ თურქი პარლამენტარების ვიზიტთან დაკავშირებით საქართველოს გამოყოფილ რეგიონში. იქვე ნათქვამია, რომ

ჯალაღანიამ გამოთქვა იმედი, რომ ასეთი ფაქტები, რომლებიც არ შეესაბამება პარტნიორულ ურთიერთობებს საქართველოსა და თურქეთს შორის, მომავალში აღარ განმეორდება“.


თავის მხრივ თურქეთის ელჩმა საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს განუცხადა, რომ შეხვედრაზე მან დაადასტურა ანკარის ურყევი პოზიცია საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებით: „როგორც კი წინასწარ გვატყობინებენ ასეთი ვიზიტების შესახებ, ჩვენ დაუყოვნებლივ ვუკავშირდებით შესაბამის მხარეებს, ვატყობინებთ მათ ჩვენი პოლიტიკის შესახებ აგრეთვე ვატყობინებთ მათ საქართველოს პოლიტიკის, კანონებისა და რეგულაციების შესახებ, და იმის შედეგად შესახებ, რაც შეიძლება წარმოექმნეთ ვიზიტორებს...“

ჩვენ ამას გვაკეთებთ მომავალშიც. ჩვენ დაუყოვნებლივ ჩვენი პარლამენტის წევრებს და კიდევ ერთხელ განვაცხადებთ ჩვენი პოზიციის შესახებ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებით“.

შეგახსენებთ, რომ საქართველოში მოქმედი კანონის თანახმად, აფხაზეთში შესვლის ნება ეძლევათ მხოლოდ ზუგდიდის მხრიდან, ცხინვალის რეგიონის ტერიტორიაზე — მხოლოდ გორის მხრიდან. თუ საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში შესვლა იყო ტურისტული ხასიათისა, სამართლის დამრღვევს ემუქრება ფულადი ჯარიმა ამერიკის შეერთებული შტატების 1200 დოლარის ოდენობით, ხოლო თუ დაკავებულმა პირმა იმღიზაურა გამოყოფილ რეგიონებში თანამშრომლობის მიზნით, მას შეიძლება, მუსაჯონ თავისუფლების აღკვეთა 2-დან 4 წლამდე ვადით.



დედაიშის ჯურჯა



აზო პრაზიდენტის არჩევნებამ 2 წლის ალრა: პილარი კლინტონმა გამოუხატა იმედი, რომ შეესაბამება პარტნიორულ ურთიერთობებს საქართველოსა და თურქეთს შორის, მომავალში აღარ განმეორდება“.

პილარი კლინტონის მთელი რიგმა გაუფრთხილებელმა შინაგანმა, ვინაც დემოკრატებისგან პრეზიდენტობის ყველაზე ძლიერ კანდიდატად ითვლება, საშუალება მისცა რესპუბლიკელებს, მოეხდინათ სპეკულირება იმ თემაზე, თუ უბრალო ამერიკელი ხალხისგან ასე შორს წავიდა ყოფილი პირველი ლედი სენატორი და სახელმწიფო მდივანი. ამჟამად კი — მემუარების წარმატებული ავტორი.

პენტაგონმა ივლისში ორთქთა უსილასი ბომბ-დაზიანება 2-2 ბაზაზე. რუსეთის ფაქტობრივი იხსენიება თუ რუსულ ანაღზურადადნის ასეთი თვითმფრინავის იხსენიება




ნატოს დაჯგუფება ევროპაში გააძლიერეს „სერიოზული თვითმფრინავებით დემოკრატიის დასაცემად“.

ჩილის მთავრობამ უარი განაცხადა დაზიანების მონაცემების გამოცხადებაზე. ამერიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები მიიჩნევენ, რომ ეს არის — ძალის პერსონალური დემონსტრაცია გლადიმერ პუტინისთვის.

პროექტი „პიდროუსენი“ ვარაუდობდა პატაგონიაში ხუთ მილიონზე დამბების მშენებლობას და ელექტროგადამცემი ხაზების გაყვანას, რომელთა სიგრძეც 1600 კილომეტრია, რათა უზრუნველყოთ ელექტროენერჯის მიწოდება ჩილის ცენტრალურ ნაწილში. მიუხედავად საბოლოო-ენერჯეტიკული რესურსების მწვავე უკმარისისა, ხელისუფლებამ უარი განაცხადა პროექტის განხორციელებაზე ეკოლოგების მოწოდებების შემდეგ, რომლებიც აღნიშნავენ, რომ იგი საკმაოდ მოფიქრებული არაა.

კაცობრიობა გამოეყო კოსმოსურ ნაბაზს ლუკაში, რომლის დირექტორებაც 915 მილიონ დოლარია

1957 წელს პირველი თანამგზავრის გაშვების მომენტიდან კოსმოსური ნაგვის ოდენობა განუზრელად იზრდება: დედამიწის გარშემო ბრუნავს დაახლოებით ნახევარი მილიონი ნამსხვრევი, რომელთა სიჩქარეც 27 000 კილომეტრია საათში. აქამდე კაცობრიობას არ ჰქონდა სიმძლავრე საშუალება, თავსუფრი ედვენებინა ნამსხვრეების ტრაექტორიისთვის, რათა უზრუნველყოთ კოსმოსური ოპერაციები უსაფრთხოებით.



მესამე და მეოთხე ადგილებზე აღმოჩნდნენ „სახალხო პარტია“ და „მიხასი“, რომლებმაც ოთხ-ოთხი სადეპუტატო მანდატი მიიღეს. აი, პარტია „ერთიანობამ“, რომელსაც მხარს უჭერდნენ ემისრები „ედინანი როსიდან“, ვერ დაძლია შვიდპროცენტის ბარიერი და პარლამენტში ვერ მოხვდა.

სამხრეთ ოსეთში რუსეთს მისცა ხმა

სამხრეთ ოსეთში პარლამენტში არჩევნების შედეგები შეაჯამეს. როგორც ჩვენი გაზეთი ვარაუდობდა, აბსოლუტური გამარჯვებული გახდა პარტია „ერთიანი ოსეთი“. ჩვენი გაზეთის სპეციალური კორესპონდენტი ოლგა ალიონოვა, რომელიც კენჭისყრას ადევნებდა თვალყურს, მიიჩნევს რომ, სინამდვილეში სამხრეთ ოსეთში გაიმარჯვა არა იმდენად ამ პარტიამ, რამდენადაც რუსეთის შემადგენლობაში შესვლის იდეამ.

„ერთიანი ოსეთი“, რესპუბლიკის ცენტრალური საარჩევნო კომისიის მონაცემებით, ხმა მისცა ამომრჩეველთა დაახლოებით 43 პროცენტმა, და ახლა ამ პარტიას 34-ადგილიან პარლამენტში ეყოლება 20 დეპუტატი — აბსოლუტური უმრავლესობა. „ერთიანი ოსეთი“ მიიღოდა არჩევნებზე სამხრეთი ოსეთის რუსეთთან შეერთების ლოზუნგი. სწორედ მას, ექსპერტების აზრით, მისცეს ხმა ამომრჩევლებმა.

„სამხრეთ ოსეთში საკმაოდ რთული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობაა, — ამბობს მედიაცენტრ „იორის“ ხელმძღვანელი ირინა გაგლოვა. — ცვლილებები არის, რალაც შენდება, მაგრამ ყველაფერი მეტად ნელა მიმდინარეობს. არ არის მომავლის სტრატეგიული ხედვა. სოფელი კვდება. ხალხი მიდის. ამიტომ ბევრი თავის იმედებს რუსეთს უკავშირებს. არსებითად, ისინი ხმას აძლევენ პიპოტეტურ მომავალს — არავინ მათ არ დაჰპირებია, რომ ეს იმედები აღსრულდება“.

პარტია ერთიანი ოსეთის“ ლიდერი ან-

პარკინგზე გაიმარჯვა პარტია. რომლის რესპუბლიკის რუსეთის ფაქტობრივი მიერთებისთვის გამოდის

ტოლი ბიბილოვი დარწმუნებულია, რომ სამხრეთ ოსეთს აქვს ყველა შანსი, შევიდეს რუსეთში. „ჩვენ განზრახული გვაქვს, ვიმუშაოთ სახელმწიფო დუმასთანაც, სხვა-



დასხვა პოლიტიკურ ძალებთანაც, — განაცხადა ჩვენთან საუბარში ბატონმა ბიბილოვმა. — სამხრეთ ოსეთს სხვა გზა არ გააჩნია — მხოლოდ რუსეთისკენ. ჩვენ არ შეგვიძლია ავავოთ ეკონომიკა, თუ იგი არ უკავშირდება რუსეთის ეკონომიკას. და ჩვენი უშიშროებაც მთლიანად რუსეთზეა დამოკიდებული — საქართველოს დღემდე არ მოუწერია ხელი ხელშეკრულების არც

© ო, ენავ ჩამო...

თანამეგობრობა თუ გაერთიანება?

ერთი და მეორე, ოღონდ — თავ-თავის ადგილას. აქ საქმე გვაქვს ორ სხვადასხვა მნიშვნელობის სიტყვასთან, რომლებიც გვერევა ხოლმე ერთმანეთში. განვიხილოთ თითოეული მათგანის წარმომავლობა:

1. თანამეგობრობა. იგი შედარებით ახალი წარმონაქმნია, რომელიც ეხმარება იგლისურ **Commonwealth**-ს (მაგალითად, British Commonwealth of Nations) და, შესაბამისად, რუსულ **Содружество**-ს (Британское Содружество).

2. გაერთიანება. ეს სიტყვა, რომლის ადგილს იკავებს ფორმა ინგლისურივე **Community**, ჩვენთვის საინტერესო მნიშვნელობით უფრო რუსული **сообщество**-ს ანალოგიით იხმარება. აი, როგორ არის განმარტებული ეს სიტყვა

მაგალითები: „მხარეებმა დაგმეს საერთაშორისო ტერორიზმი... და მოუწოდეს საერთაშორისო თანამეგობრობას...“; „უზრუნველყოს საერთაშორისო და რეგიონალური ორგანიზაციების, კონფერენციების ... მუშაობაში, გლობალური და რეგიონალური საერთაშორისო პრობლემების გადაწყვეტაში საქართველოს, როგორც მსოფლიო თანამეგობრობის წევრის, მონაწილეობის კოორდინაცია“ (ოფიც. დოკ.). ყველგან აქ უადგილოდ არის ნახმარი „თანამეგობრობა“.

ახლა გავარკვიოთ ჩვენთვის საინტერესო კუთხით წყაროებითა და პრაქტიკით დადასტურებული „გაერთიანების“ სემანტიკა. ეს არის საერთო მიზნების, საერთო ინტერესების მქონე ადამიანთა, ხალხთა ან სახელმწიფოთა გაერთიანება. ამ კატეგორიით კი იგულისხმება გაერთიანებული ერები, მათი ორგანიზაცია, ევროპისა და სხვა რეგიონების პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო და სხვა ორგანიზაციები (მაგალითად, ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულების ორგანიზაცია) (და არა ჩრდილოატლანტიკური, როგორც ახლა ამბობენ. — ავტ.) — ნატო, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ხელშეკრულების ორგანიზაცია — სენტო და მრავალი სხვა), რომელთაც აქვთ თავიანთი წესდებები, შესაბამისი სტრუქტურები და შეუძლიათ, მიიღონ იმ რეგიონისათვის შესასრულებლად სავალდებულო გადაწყვეტილებანი ან რეკომენდაციები, სადაც ისინი მოქმედებენ.

კიდევ ერთი საბუთი: „თუ შეუძლებელია გაერთიანება ერთა, რაღა აზრი უნდა ჰქონდეს სახელმწიფოთა გაერთიანებას...“ (ილია). ამ მოქმედების შედეგად წარმოშობილ კავშირს (ასოციაციას, ალიანსს, კოალიციას, ლიგას, ბლოკს...), რა თქმა უნდა, ზოგადად **გაერთიანება** დაერქმევა.

ამიტომ სავსებით ლოგიკურად ჩანს, როცა ამ კატეგორიის მონაწილეობით ყალიბდება, მაგალითად, ასეთი ფრაზები: „...საქართველომ დაიცვა ხელშეკრულების ყველა პირობა იმ იმედით, რომ ეს საერთაშორისო ორგანიზაციები იქნებოდნენ უშიშროების გარანტი... და მიმართავს მსოფლიო გაერთიანებას, გამოიყენოს მის ხელთ არსებული ყველა საშუალება რუსეთის აგრესიის აღსაკვეთად“ (საქართველოს პარლამენტის მმართველი გაეროს, ეუთოს, ევროსაბჭოს, ევროპარლამენტის და...“ (სსრ, 13.IV.02); 1996 წლის 22 აპრილს ლუტსებურგში ხელი მოეწერა და 1999 წლის 1 ივლისს ძალაში შევიდა „შეთანხმება საქართველოსა და ევროპის გაერთიანებებსა და მათ ნევრ სახელმწიფოებს შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ“ (ოფიც. დოკ.) და სხვ.


აქედან გამომდინარე, მსგავს კონტექსტში უნდა იყოს: მსოფლიო გაერთიანება, საერთაშორისო გაერთიანება, ევროპა-აზიისა და მისთ. გაერთიანება.

რაც შეეხება „თანამეგობრობას“, — ეს არის მეგობრობაზე დამყარებული კავშირი ქვეყნებისა, მათი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის **თვითაღიარებული სახელწოდება**. ასეთებია, მაგალითად, ბრიტანეთის (ერთა) **თანამეგობრობა**, ბაჰამის კუნძულების **თანამეგობრობა**. მაშასადამე, სხვა შემთხვევაში, თუ ზოგადი მნიშვნელობით, სასაუბროდ, არ ვიყენებთ „თანამეგობრობას“, მისი, როგორც ნორმის, ხმარება უნდა გამოირიცხოს.

ეს არის ენის კულტურის ელემენტი. მას კი დაცვა სჭირდება.

ოთარ კაპანაძე

© უბის წიგნები



„ვეფხისტყაოსანი“ და „ქართველი რომანტიკოსები“

საბარტოშვილს ილია ჭავჭავაძის სახელობის მნიგნობართა ასოციაციამ მინიჭებას ააჩუქარი გაუკეთა მკითხველს და მინიატურული წიგნების მთელი სერია შესთავაზა. ჩვენი გაზეთი წერდა ოთარ ჭილაძის „ლექსებსა და პოემებზე“, რომელმაც ნამდვილად გაახარა პოეტის შემოქმედების თავყვანისმცემლები.

მნიგნობართა ასოციაციისგან

ტყაოსნის“ ეს ტექსტი ემყარება 1988 წლის გამოცემას. იგი შეიცავს ძირითადად მიჩნეულ სტროფებს. გამოცემის ფინალური ეპი-

ზოდი — ე. წ. „ინდოხატაელთა ამბავი“ და „დასასრული“. რედაქციის აზრით, ისინი გვიან დაზიანებულსა და შემდგომში რესტავრირებულ ტექსტებს წარმოადგენს, რომელიც ავსებს შინაარსობრივ ხარვეზს და კომპოზიციურად კრავს პოემის სიუჟეტს.

ამჟამად კიდევ ორ მსგავს გამოცემაზე გიამბობთ: შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსანი“ და „ქართველი რომანტიკოსები“. როგორც მნიგნობართა ასოციაციას სჩვევია, წიგნის პოლიგრაფიული ხარისხი მაღალია, ისეთი, რომ ხელში დაჭერა და ხშირი ფურცვლა არ შეგაშინებს. ამ „უბის წიგნებში“ კი ტექსტები ძალიან კარგად იკითხება, შრიფტის ზომა სრულებით ვაკმაყოფილებს.

რაც შეეხება „ქართველ რომანტიკოსებს“, მასში შესულია ალექსანდრე ჭავჭავაძის, გრიგოლ ორბელიანის, ვახტანგ ორბელიანისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის ნაწარმოებები. ორივე წიგნის მთავარი რედაქტორი გახლავთ ლია ნადარეიშვილი.

„ვეფხისტყაოსანი“ დაბეჭდილია „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის მთავარი რედაქტორის მიერ დადგენილი ტექსტით. მასში გამოყენებულია მამუკა თავაქარაშვილისეული 1646 წლის ფერადი ილუსტრაციები. პოემას თან ერთვის ლექსიკონი, რომელიც ამ გამოცემისთვის საგანგებოდ მოამზადა „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის“ რედაქციამ. მათი თქმით, „ვეფხისტ-

„ქართველ რომანტიკოსებს“ თან ერთვის მწერალ ზაზა აბზიანიძის წინასიტყვაობა. „რომანტიზმი XIX საუკუნის ის სინამდვილეა, რომელშიც განუყრელად შეერწყა ერთმანეთს ლიტერატურული მოვლენა და საზოგადოებრივი განწყობა, შემდგომ „პოლიტიკურ რომანტიზმად“ მონათლული კიტა აბაშიძის მიერ“, — წერს ზაზა აბზიანიძე. ვინც დაინტერესებულია ამ ეპოქით და ვისაც უბრალოდ სიბლავის რომანტიზმი, უსათუოდ შეიძინს ამ კარგ გამოცემას.

თეა მოსია

© ალიანჯალიანი

ბათუმი მალე ბარაკებს დაემშვიდობება

საბარტოშვილს ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა, აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ არჩილ ხაბაძემ და აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრმა დავით ბალაძემ ბათუმში, სასტუმრო „რადისონში“, „ბათუმში არასათანადო-არასტანდარტული საცხოვრისის ლიკვიდაციის სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის“ პრეზენტაცია გამართეს.

ბათუმის ადმინისტრაციულ საზღვრებში ამორტიზებული, ავარიული, უსახური, დროებითი, ბარაკული ტიპის, საცხოვრებლად უფარგისი, არაადაპტაციული სახელმწიფო პირობის მქონე შენობების ლიკვიდაციის პროგრამის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის პრეზენტაცია მოხდა.

როგორც ნოდარ ხადურმა ურნალისტიკებთან საუბრისას განაცხადა, 20 მილიონ დოლარამდე ინვესტიცია ტურისტული ცენტრის უსახური შენობებისგან გათავისუფლებას უზრუნველყოფს.

როგორც არჩილ ხაბაძემ განმარტა, აჭარის მთავრობამ პროგრამა ბათუმის მერიასთან ერთად, ჯანსაღი და უსაფრთხო საზოგადოებრივი და საცხოვრებელი გარემოს შექმნისათვის შეიმუშავა. მისივე განმარტებით, აჭარის მთავრობა გამოდის საფინანსო ორგანიზაციის წინაშე დაინტერესებული პირის თავდებად, რომელიც ბათუმის ტერიტორიაზე ბარაკის ტიპის უსახური შენობების ნაცვლად, განათავსებს მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებს. არჩილ ხაბაძის თქმით, პროექტის მიმართ ინტერესს იჩენს „საქართველოს ბანკი“, რომელიც უკვე ფლობს მსგავსი პროექტის განხორციელების გამოცდილებას.

ენერგომომარაგება გაუმჯობესდა

110 კვ მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზის „ერგე 1“-ის რეაბილიტაცია დასრულდა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ ენერგო-პრო ჯორჯიადან აცნობეს, აღნიშნული ხაზის რეაბილიტაციის შედეგად ბათუმის ენერგომომარაგება უფრო სტაბილური და ხარისხიანი გახდა.

მათივე განმარტებით, ხაზის სიგრძე 13 კმ-ს შეადგენს და ის ბათუმის აბონენტების ნახევარს კვებავს. აღნიშნული სარეაბილიტაციო პროექტის დასრულების მიზნით, „ენერგო-პრო ჯორჯიამ“ განახორციელა 1 მლნ-მდე ლარის ინვესტიცია.

მაღალი ძაბვის გადამცემი „ერგე 1“-ს შეუძლია მუდმივად 45 მგვტ ნომინალური ტვირთის გატარება, რაც ქ. ბათუმის მაქსიმუმზე მოთხოვნილი ტვირთის ნახევარს შეადგენს. დღემდე შესაძლებელი იყო ხაზის მხოლოდ 60% დატვირთვა და არსებობდა ავარიული გამორთვის მომართული რისკი. ამდენად ხაზის სრული რეაბილიტაცია მუდამ მნიშვნელოვანია ქალაქის ენერგომომარაგების თვალსაზრისით.

კალათბურთი

მარკოვიჩის 16 ქულა და საყაიომ ანგარიში ფინალში



თურქეთის ჩემპიონატის ფინალურ სერია უაღრესად საინტერესოდ მიმდინარეობს. მანუჩარ მარკოვიჩის „გალათასარიამ“ სტამბოლის „ფენერბაჰჩესთან“ სტუმრად განცდილი 2 მარცხის კვალად შინ 2 გამარჯვება იზეიმა და სერიაში წონასწორობა აღადგინა.

მე-4 შეხვედრაში „გალამ“ 88:82 იმარჯვა და სასიხარულოა, რომ საქართველოს ნაკრების მცველი ამჯერადაც გამორჩეული ფიგურა გახლდათ. მარკოვიჩმა მოედანზე 32 წუთი გაატარა და 16 ქულა, 4 მოხსნა, 1 პასი და 2 ჩაჭრა მიითვალა. მანუჩარმა 6-დან 3 ორქულიანი, 4-დან 3 სამქულიანი და 2-დან 1 საჯარიმო ჩააგდო, ბურთი არცერთხელ დაუკარგავს და 4 პერსონალური ფოლი მიიღო.

„გალათასარიამის“ რიგებში ყველაზე შედეგიანად პურტორიკოველმა კარლოს არიომ ითამაშა 24 ქულით, „ფენერბაჰჩეს“ ლიდერებმა ბო მაკკალეებმა და ლინას კლენიზამ კი 22-22 ქულა მიითვალეს.

ფინალური სერია ოთხ მოგებაზე გრძელდება. სვალ გუნდები „ფენერბაჰჩეს“ სარბიელზე ითამაშებენ, 16-ში მასპინძელი კვლავ „გალათასარიამი“ იქნება, ხოლო თუ საჭირო გახდება, გადამწყვეტ მე-7 შეხვედრას 19 ივნისს ისევ „ფენერი“ მიიღებს.

ვიტალი ჯაფარიძე

რაგბი

IRB თბილისის თასი 2014 – „ბორჯღალოსნები“ ემზადებიან

მრავალწლიური საერთაშორისო ტურნირის, IRB თბილისის თასი 2014-ის გახსნამდე რამდენიმე დღე რჩება. საქართველო, ესპანეთი, „მზარდი იტალია“ და „არგენტინის იაგუარები“ 14, 18 და 22 ივნისს ერთმანეთს ავჭალის სარაგბო სტადიონზე დაუბრისბირდებიან. მატჩები 17 და 19 საათზე დაიწყება.



საქართველოს ნაკრების შეხვედრების ტრანსლაცია საზოგადოებრივი მაუწყებლის პირდაპირი ეთერით იწარმოებს – 14 ივნისს საქართველო-ესპანეთის მატჩს მე-2 არხი აჩვენებს, ხოლო 18 და 22 ივნისს, შესაბამისად, საქართველო-„იაგუარების“ და საქართველო-„მზარდი იტალიის“ შეხვედრებს პირველი არხი შემოგვთავაზებს.

IRB თბილისის თასი 2014-ის თარიღების დაანონსების დღიდან ქართული რაგბის უკლებლივ ყველა ქომაგს აინტერესებდა ბილეთები როდის დაიყიდებოდა. ბილეთები 9 ივნისიდან ყოველდღიურად საქართველოს რაგბის კავშირში იყიდება, ხოლო სამატჩო დღეებში, 14, 18 და 22 ივნისს, ავჭალის რაგბის სტადიონის საღარიბოები გაიყიდება. ყველა ბილეთი დანომრილია.

„ბორჯღალოსნებმა“ შეკრება 9 ივნისს „შევარ-

დენზე“ დაიწყეს. მილტონ ჰეიგის განკარგულებაში 29 მორაგბეა. სატურნირო განაცხადში გიორგი მჭედლიშვილსა და ლაშა ლომიძეს ვიზილავთ, რომელთაც აქამდე ნაკრებში თითო-თითო მატჩი გაუმართავთ. გუნდშია მურაზ გიორგაძეც, რომელსაც ეროვნულ ნაკრებში ჯერ არ უასპარეზია. შეკრებაზე ასევე იმყოფებიან რეზერვები ჯინჭველაშვილი და გურამ კავთაძე.

გუნდში „ბორჯღალოსნებმა“ შევარდენის სანაკრებო ბაზაზე პირველი ღია ვარჯიში გამართეს.

კობა კობახიძე

დაბრუნება

ქინქლაძე სხინვალის „სპარტაკის“ სპორტული დირექტორი გახდა

რომში ცხინვალის „სპარტაკის“ პრესატაშე დავით ცაბაძემ განაცხადა, კლუბის სპორტული დირექტორი გიორგი ქინქლაძე გახდა. ცაბაძემ ორიოდე დღის წინ გაამჟღავნა, რომ „სპარტაკის“ ახალი პრეზიდენტი მურთაზ შელია თავის მეგობართან და ყოფილ თანაგუნდელთან ქინქლაძესთან აწარმოებდა მოლაპარაკებებს. როგორც ვხედავთ, საბოლოოდ შეთანხმებაც შედგა.



90-იანი წლების გამორჩეული ქართველი ფეხბურთელი და „მანჩესტერ სიტის“ ყველა დროის საუკეთესო 11 მოთამაშეს შორის მოხვედრილი ქინქლაძე ადრეც მუშაობდა სპორტულ დირექტორად, თუმცა ეს კვიპროსულ „ანორთოსისში“ – 2011-2012 წლებში.

შელია-ქინქლაძის დუეტი საინტერესო უნდა გამოდგეს. შესვენებისთვის, ისინი ერთად თამაშობდნენ საქართველოს ნაკრებში, თბილისის „დინამოში“, „ზარბრიუკენსა“ და „მანჩესტერ სიტისში“.

მანუჩარ ბიორბაძე

სათელი

ბარდაიცივალა ვალერიან ჩხარტიშვილი



74 წლის ბარდაიცივალა ვალერიან ჩხარტიშვილი გამოცდილი მწვრთნელი გახლდათ, ბევრი უნახავს და გრანდის წინააღმდეგაც გაუწვრთნია გუნდი. დიას, 90-იანი წლების შუაში პოლანდიური მსვ ნამდვილად გრანდი იყო თავისი ფილიპ კოკუთი, ლუკ ნილისით, ბუდევიან ზენდენით და ასე შემდეგ... ასლანდელივით მსვ როდი იყო. ბევრს ემასსოვრება, ჩხარტიშვილის განვრთნილმა ბათუმის „დინამომ“ თასების თასის 1/16 ფინალში შინ 1:1 ითამაშა პოლანდიურ კლუბთან, გასვლაზე კი 0:3 წააგო.

მანამდე ერთი წლით ადრე ჩხარტიშვილის გუნდმა გლაზგოს „სელტიკთანაც“ ითამაშა (2:3, 0:4). იყო სერბული „ობილიჩის“ მღვევა (1:0, 2:2) და, საერთოდაც, მაშინდელი ბათუმის „დინამო“ სიმპათიური გუნდი იყო, დალაგებულ ფეხბურთის თამაშობდა.

ვალერიან ჩხარტიშვილი ბოლო წლებში „სამტრედიასა“ და ქობულეთის „შუქურას“ წვრთნიდა, რამდენიმე თვის წინ კი ქობულეთში გუნდის თავკაცის პოსტი თავად დატოვა ჯანმრთელობის გაუარესების გამო... „შუქურას“ პრეზიდენტმა რევაზ ჩელევაძემ დამსახურებულ კაცს კლუბში მუშაობა შესთავაზა.

ჩხარტიშვილი ურიგო ფეხბურთელი არ გახლდათ. თამაშობდა „შუქურაში“, მერე მოხვდა თბილისის „დინამოში“, იყო ქუთაისის „ტორპედოშიც“.

გიორგი შოთაძე

მუნდიალი – 2014

დღეს ბრაზილიაში საიუბილეო – XX მსოფლიო ჩემპიონატი იხსნება

რამდენიმე საათიც და სან პაულუს 68-ათასიან „არენა დე სან პაულუსზე“ ერთდროს საფეხბურთო ფორუმი აიღებს სტარტს. მასპინძელთა და სორვატთა განხლის მატჩის გაძლოლის პატივი იაპონელ მსაჯე იუიტი ნიშიმურას ხვდა წილად.



ბუნებრივია, მომავალ მარათონსაც ჰყავს ფავორიტები. ვითვალისწინებთ რა გულშემატივართა ცნობისმოყვარეობას, გთავაზობთ ფიფას რეიტინგის საუკეთესო ათეულის წევრი გრანდების სამუნდიალო განაცხადებს.



ბრაზილია

ვიქტორ ლენდრო, ჯეფერსონი, ჟულიუ სეზარი, დავიდ ლუიზი, დანი ალვესი, დანტე, მაიკონი, მაქსველი, მარსელო, ტიაგო სილვა, ენრიკო ადრიანო, ანისიო, ვილიანი, ლუის გუსტავო, ოსკარი, პაულინიუ, რამირე-სი, ფერნანდინი, ერნანესი, ჟო, ნეიმარი, ფრედი, ჰალკი.

ესპანეთი

დე ხეა, კასილასი, რენია, პიკე, ალბა, ალბოლი, რამოსი, ასპილიკუეტა, ხუანფრანი, ინიესტა, დავიდ სილვა, კოკე, პედრო, კასორლა, ბუსკეტსი, ფაბრეგასი, ხაბი ალონსო, ხავი, მარტინესი, მატა, ვილია, კოშტა, ტორესი.



გერმანია

ნოიერი, ვაიდენფელერი, ცილერი, ჰავედესი, ბოატენგი, გროსროიტიცი, შუმელსი, გინტერი, მერტეზაკერი, ლამი, მუსტაფა, დურმი, შურლე, შვაინშტაიგერი, კრა-მერი, გიოტცე, იოზილი, ხედირა, კროსი, დრაქსლერი, ჰოდოლსკი, კლოზე, მიულერი.

არგენტინა

ორიონი, ანდუზარი, რომერო, როსო, დემიჩელისი, ზაბალეტა, კამპინარო, ფერნანდესი, ბასანტა, გარაი, დი მარია, აუგუსტო, ბილია, როდრიგესი, ალვარესი, გაგო, მასკერანო, პერესი, იგუაინი, მესი, პალასიო, აგუერო, ლავეცი.



ჰოლანდია

ვორმი, კრული, სილესენი, ინდი, იანმატი, ბლინდი, ველტმანი, ვერშააგი, ვლაარი, დე ვრეი, კონგოლო, რობენი, ლენსი, დე გუზმანი, ვეინალდუმი, კიუიტი, კლა-ასი, ფერი, დეპაი, დე იონგი, სნეიდერი, ჰუნტელაარი, ვან პერსი.

ურუგვაი

მარტინ სილვა, მუნოსი, მუსლერა, პერეირა, გოდინი, ლუგანო, მაქსი, კასერესი, კოატესი, ფუსილე, სიმენესი, გონსალესი, გარგანო, გასტონ რამირესი, პერესი, კრისტიან როდრიგესი, ლოდეირო, რიოსი, ერნანდესი, ფორლანი, სტუანი, სუარესი, კავანი.



იტალია

ბუფონი, პერინი, სირიჯო, ბარძალი, პალეტა, კიელინი, აბატე, ბონუჩი, დარმიანი, დე შილიო, აკუილანი, პირ-ლო, კანდრევა, დე როსი, მარკიზიო, ინსინიე, ვერატი, პაროლო, მოტა, ჩერჩი, კასანო, ბალოტელი, იმობილე.

ინგლისი

ფოსტერი, ჰარტი, ფორსტერი, კეპილი, ჯონსონი, სმო-ლინგი, ბენისი, შოუ, ჟაგიელკა, ჯონსი, ლალანა, ჩემ-ბერლენი, მილნერი, უილ შირი, ჰენდერსონი, სტერლინგი, ბარკლი, ჯერარდი, ლამპარდი, სტარკი, უელბე-კი, ლამპერტი, რუნი.



საფრანგეთი

ლანდრო, რუფიე, ლორისი, სანია, კოშელნი, დინი, სა-კო, დეპიუსი, ვერა, ვარანი, მანგალა, გრიზმანი, მათი-უიდი, კაბაი, ვალბუენა, შნაიდერლინი, სისოკო, პოგ-ბა, კაბელა, მაგუზა, ბენზემა, რემი, ჟირუ.

აშტრუალია

ბეტუ, პატრისიუ, ედუარდუ, ანდრე, ბრუნო ალვესი, პერეირა, ნეტუ, პეპე, კოშტა, კონტრაუ, ვიერიინია, კარ-ვალეიუ, მოუტინიუ, ველოზუ, ნანი, მეიერელეში, რაფა სილვა, ამორიმი, ვარელა, კრიშტიანუ რონალდუ, ალ-მეიდა, ედერი, ელდერ პოშტიგა.



გამოცა

ვარდისფერ გზას შემდგარ კაი ყმათა ქირისუფალი

„მოსარული ვარ, რომ დაარსდა გაზეთი „თანადგომის“, რომელიც მიზნად ისახავს მრავალი ისეთი საკითხის გაშუქებას, რაც აწუხებს ჩვენს საზოგადოებას. დღეს, როდესაც გარშემო ბევრი სერიოზული პრობლემაა, ხალხისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს სწორი აზრის, სწორი პოზიციის შემუშავებას. იმედი გვაქვს, ეს გაზეთი დაეხმარება ადამიანებს ქვეყნისთვის ძიებაში და იქნება მათი თანამდგომი, მრავალ სხვა საკითხებშიც. ღმერთმა დალოცოს მისი გამომცემელი და მკითხველი.“

მით არ ვიღებო — ნერს ბატონი ანზორი, რომელმაც რამდენიმე წლის წინათ „თანადგომის“ ნომრები შეკრიბა და ქვეყნის მთელ მთაწარეს მკითხველს წიგნის სათაურიც დიდი გალაკტიონის პოეტიური რეფრენია „გზა... ვარდისფერი“ გენიოსი ქართველიც ხომ გვიადვილებდა ამ ქვეყნიდან წასვლას და მარადისობაში გადასვლას ვარდისფერ გზას ადარებდა



„სიკვდილის გზა არაა არის, ვარდისფერი“ და სხვა არაფერი. საჭიროებამ მოითხოვა (ზემოთ აღვნიშნე სამწუხაროდ-მეთქი) მეორე წიგნის გამოცემა და სულ ორიოდე დღის წინ გვაახლა ბატონმა ანზორმა თავისი „გზა... ვარდისფერის“ მეორე წიგნი, რომელსაც შესანიშნავმა ლიტერატორმა ბატონმა გურამ გოგიაშვილმა, რომელმაც ამ მეორე წიგ-

ნის რედაქტორობა ითავა, „ანზორ ბაბუნადაიასგან „გაშენებული სიცოცხლის ბაღი“ უწოდა.

„ეს წიგნი, უწინარესად, ასეთი ადამიანების „სიცოცხლის ბაღი“ და არა საძვალე ანდა სამრავალკაცო, ანდა საძოვო სასაფლაო, სადაც სიკვდილისგან დამარცხებული ადამიანები განისვენებენ. ამ წიგნში ის ადამიანები ცოცხლობენ, ვინც სიკვდილს მოერიდა და ვისთვისაც სიკვდილი თავისებურ ღმერთმა დალოცოს მისი გამომცემელი და მკითხველი.“

„გზა... ვარდისფერის“ პირველი წიგნი, ანუ როგორც თავად ავტორი უწოდებს პირველი ნაწილი, 45 პერსონალური ნომრის გაერთიანებაა, სადაც 45 მამულიშვილის მოგონება თავმოყრილი — ინოლა გურგულია და მედეა ჯაფარიძე, დავით სარაჯიშვილი და ნიკოჭავჭავაძე, მიხეილ ქორქია და სულიკო თორთლაძე, დავით ჩხიკვიშვილი და ანდრია აფთქიძე, უამრავი მწერალი, სპორტსმენი, ხელოვანი, სახელმწიფო მოღვაწე თუ უბრალო მუშაკი ამ ქვეყნის სიმღერისთვის რომ იღვწოდა, ხალხის სიყვარულს იმჯიდა და თავის საკეთებელ საქმეს უწუმრად ეშურებოდა. ყველას სსოვნას უბატონა ანზორ ბაბუნადაიამ, თითოეულ „კაი ყმას“ თითო ნომერი მიუძღვნა, შემდეგ წიგნად მოგვართვა მათი ხსოვნის თაყვანისმცემლებს. ამჟამინდელ წიგნში ოცდაცამეტ ერისშვილს იხსენებს ავტორი, ოცდაცამეტ ვარდისფერ გზას შემდგარ ქართველს, ქრისტეს მხედრობას. კვლავ გვახსენებია მადრამ იმედს გვისახავს, რომ ჩვენც გვეყოლება ოდესმე ანზორის მსგავსი ქირისუფალი, რომელიც თავის გაშენებულ „სიცოცხლის ბაღში“ მიგვიჩენს ბზას.

ამაშუა ვაზაქიძე

ჩანახატი

ქებათა-ქება ვაზისა

„სისხლსა ყურძნისასა სუმდეთ ღვინოსა“. აქელი ალთმა

რბ მნიშვნელობა აქვს, რომელი ვარიანტი იყოს, არ მენანება, მაგრამ ჩემთვის სამშობლო და ვაზი განუყოფელი მცნებებია, რადგან იგი ქრისტეს სიტყვის და მისი სიყვარულის სიმბოლოა საქართველოში, მაგრამ სამწუხაროდ არა ყოველი ქართველისათვის. არა, ეს ყველა იცის, მაგრამ ბევრისათვის თავად მაცხოვრის სიტყვა და სიყვარულია გაუგებარი, რადგან თუ გაიგებ, გაითავისებ, და თუ გაითავისებ აღარც ვაზს დაარტყამ ნაჯახს და არც ადამიანს მოიძულე. სიძულვილი, ბოღმა, შური, ამპარტავნება და კიდევ ათასი ოსრობა კი ნამდვილად გვჭირს. მე ჩემსას ვჩივი და ყველა თავის ერს მოუფრთხილდეს. ნება ყველას ისევე უყვარდეს თავისი, როგორც მე — ჩემი.

საზამთროს სამშობლოდ სამხრეთ აფრიკა აღიარებული. ეგვიპტელებს მოჰყავდათ ეს კულტურა, საზამთრო ფარაონების სამარხებშიც გვხვდება, აბა იმ ქვეყნად რომ ფარაონს საზამთრო მონდომებოდა, რა უნდა ექნა. ხომ გადაირეოდა კაცი თუმცა, ქალი ფარაონიც ხომ ვიცი — ჰატშეფსუტი. აცხონოს უფალომა.

საზამთროც სიტბოს მოყვარე მცენარეა, ნიადაგის მიმართ ნაკლებმოთხოვნი და არც ვაზით მოფრება, შეიღობით გაზრდა სჭირდება. ამიტომაც ასწრაფად ქართველმა ვაზზე ხელი. საზამთრო არჩია. უცხო ტომის წარმომადგენლები კი ყოველთვის ქართულ მიწებს, ვაზს აშენებენ. მიწა-

წყალს ვყიდით და ჭკვიანი უცხოელი ამ შანსს ხელიდან რატომ გაუშვებს? მე მათ არაფერს ვერჩი. როგორც ყველაფერში, ასევე ბოტანიკაში ჩემი ცოდნა ამოუწურავია, როდესაც კომპიუტერთან ვზივარ. ისიც ვიცი, რომ ვაზს უღვაში აქვს, იგივე პნკალი. ჩემთვის მისი უღვაში ისეთივე ნამუსია, როგორც ოდესღაც საქართველოში ვაჟკაცის უღვაში იყო. დღეს უღვაშით კი არა, ნოტარისუსით დამტკიცებული საბუთითაც ვერ ენდობი ადამიანს. სწორედ თავისი ნამუსის მეშვეობით ცდილობს ვაზი, არ დაეცეს, გვერდით მყოფს ჩახუტოს და ამის საშუალებით იხილოს მეტი მზის სინათლე. ჩვენც მეტი ნამუსი რომ გვქონდეს, ავტომატურად შეგვეძლოს ახლომყოფის ჩახუტება, არ დავცემოდით და მზესაც თვალს გაგუსწორებდით. რადგან უფალო ჩვენი მზე და გალაქტიკაში არსებული მილიარდობით არსებული მზეებისაგან განსხვავებით, უკვდავი, ისეთივე, როგორც ჩვენში არსებული მისი სხივი, რომელსაც თავადვე უნდა გავუფრთხილდეთ, თუ გვინდა, რომ მარადიულობაში გადავიცავდეთ.

ნინო ბაჟალიძე

ინფორმაცია

რუსი დიპლომატის მკვლელობა 12 წელი მიუსაჯეს

ბატიშკის საქალაქო სასამართლომ, 9-თვიანი განხილვის შემდეგ, ლაკავეის, ბახუნტარაძის და წულუკიძის საქმესთან დაკავშირებით გადამწყვეტილება გამოაცხადა. მოსამართლე დავით მამისეიშვილმა იუსუფ ლაკავეს 12 წლით, ფირუზ წულუკიძეს 2 წლით, თემურ ბახუნტარაძეს კი 2 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. გარდა ამისა, მოსამართლემ 2-2 ათასლარიანი ჯარიმა დააკისრა წულუკიძესა და ბახუნტარაძეს. წულუკიძესა და ბახუნტარაძეს ბრალად ედებათ იარაღის უკა-

„მეორადი“ აკონოზიკის პარაფორმა

აკონოზიკის პარაფორმა

საბარტემილოდან აზერბაიჯანში 2013 წელს —24 ათასი, სომხეთში კი 17 ათასი ავტომობილი გაყიდა. წლეულს, აპრილში კი აზერბაიჯანში რეექსპორტმა 70%-ით დაიკლო. იგივე პერსპექტივა სომხეთის მიმართულებითაც. ავტობიზნესი თანდათან ჩინში შედის. დილერები მანქანების მოშორებაზე არიან გადასულნი, მაგრამ რეალურად ვერც ამას ახერხებენ. ისინი დახმარებას მთავრობას სთხოვენ.

ჯერჯერობით მათ პრობლემას პარლამენტაი გიორგი ვაშაძე გამოეხმაურა და წინადადებაც წამოაყენა. მისი თქმით, დღეს ქვეყანაში მანქანების რეექსპორტის ბიზნესი ჩავარდნილია, რის გამოც ამ ბიზნესით დაკავებული ადამიანები მანქანებს ვერ ყიდნიან და კრედიტებს ვერ ფარავენ. ამიტომაც იგი პარლამენტში საკანონმდებლო ინიციატივით შედის, რომელიც იმ ადამიანებს ეხება, რომლებიც მანქანების რეექსპორტს ახორციელებენ.

„ხელისუფლებას მოეუწოდებ, ამ ადამიანებს დამატებით 45-დღიანი ვადა მისცეს რეექსპორტისთვის. გარდა ამისა, ჩამოენეროთ მიმდინარე წლის პირველი იანვრიდან დღემდე დარიცხული საურავი და ხელისუფლებამ აზერბაიჯანულ მხარესთან დაინყოს მოლაპარაკება, რადგან ეს უკანასკნელი თავის ტერიტორიაზე მანქანებს არ ატარებს. მსგავსი სიტუაცია ჩვენი ხელისუფლების დროსაც იყო, თუმცა, მაშინ




მოლაპარაკებით პრობლემის მოგვარება შეეძლებოდა. იმედია, ხელისუფლება უსაქმობის ნაცვლად, ყურებს გამოიფხეკს“, — აცხადებს გიორგი ვაშაძე. ბოლო თვეებში აზერბაიჯანში მანქანების ექსპორტი შეზღუდულია. დაახლოებით ერთ თვეში შეწყდება ავტომობილების რეექსპორტი სომხეთშიც, როდესაც ის ევრაზიული საბაჟო კავშირის წევრი გახდება. თავის დროზე, სწორედ ამ მიზეზით დაიხურა ყაზახეთის ბაზარიც. არადა, 2009 წელს ყაზახეთში საქართველოდან 20 ათასი მანქანა გაიყვანეს.

თემურ ბაღდადაშვილი, ინფორმაციის მფარველი ავტომობილებით ვაჭრობაში საქართველოში ჩართულია 25-30 ათასი ინდემნარმე. გადამწყვეტილებები, რომლებიც ერთდროულად მიიღეს აზერბაიჯანის მთავრობამ და თურქეთის საბაჟომ, ავტოდილერებში საფუძვლიან ეჭვს იწვევს. აზერბაიჯანში 2014 წლის 30 აპრილიდან აიკრძალა 2005 წელზე ადრე გამოშვებული მანქანების

ზაბა დანელია

აზიზა

ოპერის თეატრი „დაისს“ წარმოადგენს



თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრი 17 ივნისს მუსიკის მოყვარულთა ინვესტორის კონსერვატორიის დიდ დარბაზში, სადაც საკონცერტო ვერსიით შესრულდება ქართული საოპერო კლასიკა – ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „დაისი“.

მთავარ პარტიებს იმღერებენ: ნინო ჩაჩუა (მარო), ირინე ალექსიძე (ნანო), გია მახარაძე (მალხაზი), სულხან გველესიანი (კიაზო), გონა დათუსანი-ჯილაური (ცანგალა), თამაზ საგინაძე (ტაბო). სპექტაკლში მონაწილეობს ოპერის თეატრის გუნდი (მთავარი ქორმალისტერი ავთანდილ ჩხენკელი, ქორმალისტერი შალვა შაორშიძე) და ორკესტრი (ორკესტრის კონცერტმალისტერი ლელა მჭედლიძე). „დაისს“ იდირიფორებს პაპუნა ღვებერძე.

მცირე ენციკლოპედია

მოქანავე კლდეები

საზრანბეთის ქალაქ კასტრიდან შვიდი კილომეტრის მოშორებით მდებარე უჩვეულო კლდეებია, რომელთა წონასწორობიდან გამოყვანას... მხოლოდ ხელის კერა უნდა!

მაგალითად, იქ არის სატივრო გემის მსგავსი 3 მეტრის სიმაღლის, 25 მეტრის სიგანისა და 150 ტონის წონის უზარმაზარი ლოდი. თუკი მას მხრით, ან უბრალო ჯოხით მიანვევით, იგი წონასწორობიდან იშვება ამპლიტუდით გამოდის, რომ ბავშვები ზედ „აინონა-დაინონას“ თამაშობენ.

მეორე გიგანტური ლოდი კი ხრამის პირასაა დაკიდული და თუკი მას ძლიერად ხელს კრავთ, იგი 2-3 წუთის განმავლობაში აქეთ-იქეთ იქანავებს. ერთ-ერთს ამ მოქანავე ლოდებიდან თავისი რხევების დროს ქვეშ დადებული შედარებით მცირე ზომის ლოდების... ქვიშად ქცევაც კი შეუძლია, ამიტომ მას „ქვასატებს“ უწოდებენ. გარდა ამისა, აქ შედარებით მცირე ზომის კლდეებიცაა, რომელთა წონასწორობიდან გამოყვანა ცალი თითის მინოლითაც შეიძლება. აღსანიშნავია, რომ მსგავსი მოქანავე კლდეები საფრანგეთის ზოგიერთ სხვა მხარეშიც, კერძოდ ბრეტანსა და ფონტენბლოს ტყეშიც გვხვდება, მაგრამ იმ ადგილებში ისინი იშვიათად გამოჩნდებიან.



ნინო ალექსანდრიძე

პაპანაძეა სიცხეში

ზაფხულის დასვენებისა და არდადეგების სეზონის დადგომასთან ერთად, უამრავი ხალხი ბუნებრივ წყალსაცავებს თუ საცურაო აუზებს აშურებს, რათა გაგრილებასთან ერთად ყველასათვის ასე მოსახდენი გარუჯავც მიიღოს. არადა, როგორც ბევრმა აღბაო, უკვე არც თუ „ტკბილად გასახსნებელ ამბად“ იცის, სწორად გარუჯვას ცოდნა უნდა, რაც ბევრი უსამართლო შედეგებისგან დაგიცავთ. საამისოდ კი რამდენიმე რჩევას შემოგთავაზებთ, რომელთა მიყოლა თქვენც გამოგადგებათ და თქვენ ახლობლებსაც.

● გარუჯვა უმჯობესია დღის 12-მდე და საღამოს 18 საათის შემდეგ – სწორედ ამ დროსაა მზე ყველაზე უფრო „დამნდობი“ და კანს ლამაზ ბრინჯაოსფერად და არა უშნო წითლად „აფერადებს“.

● ნუ დაივიწყებთ მზისგან დამცველ საშუალებებს: გარუჯვის დღეებში აიჩიეთ SPF 30 დაცვის ფაქტორის მქონე საცხები, სოლო ღია ფერის კანისთვის მარჯვენებელი 40-ზე მეტი უნდა იყოს.

● ყველაზე უკეთესი აქტიური დასვენების დროს, ვთქვათ, პლაჟის ფრენბურთის თამაშის დროს ირუჯება, თანაც მთელი სხეული ერთგვაროვან ტონს იღებს.

● თავზე უმჯობესია, ქუდი დაიხურეთ, რომელიც თმსაც დაცავს და მზეზე გადახურებისგანაც გიხსნის.

● გარუჯვის პროცედურის შემდეგ ისარგებლეთ სპეციალური კანის დამცავი, სასარგებლო ნივთიერებებით გაჯერებული საცხებით, რომლებიც, ამავე დროს, კანის გარუჯვასაც დიდი ხნის მანძილზე შეგინარჩუნებენ.

● სასურველია მზეზე დღეში ორ საათზე მეტ ხანს არ დაჰყოთ იმ შემთხვევაშიც კი, თუკი მზისგან დამცავ კოსმეტიკას ხმარობთ.

● ბანაობის შემდეგ უმჯობესია ტანი პირსახოცით გაიმშრალეთ, რადგან წყლის თითოეული წვეთი მზის სხივებს ირეკლავს და დამწვრობის პროვოცირება შეუძლია.

● მზისგან დამცავი საცხი ყოველ საათში ერთხელ უნდა გაახსნოთ, ხოლო ცხვირზე, მკერდსა და მხრებზე კი ხელახლა ყოველ 30 წუთში ერთხელ წაისვიეთ.

გარუჯვა უკლებლივ ყველას უხდება – ყავისფერი თუ ბრინჯაოსფერი კანი თეთრსა და ფერდაკარგულზე გაცილებით უფრო ლამაზია. ასეთი შედეგის მისაღებად მრავალი საშუალება არსებობს – ლოსიონები, სხვადასხვა სახეობის კოსმეტიკა და ზეთები, სპრეები და სხვა. მაგრამ ალმონდა, რომ ამ საშუალებების გამოყენებას სასურველი შედეგი მაინც არ მოაქვს, თუკი თქვენი კვე-

ბის რაციონი საანადოდ დაბალანსებული არ არის. რაციონალურ კვებას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან იგი ჩვენ კანს მარტო აგრესიული გამოსხივებისგან კი არ იცავს, არამედ მას თანაბრად და ლამაზად რუჯავს. ბევრმა შეიძლება იცის, რომ გარკვეული სურსათი კანში მელანინის – განსაკუთრებული პიგმენტის გამოშვებას უწყობს ხელს, რომლის ოდენობა მზის სხივების შემოქმედებით მატულობს და მას ლამაზად „ღებავს“. არსებობს რამდენიმე მკვებავი ნივთიერება და ვიტამინი, რომელიც ხელს უწყობს ბუნებრივი და ოპტიმალური გარუჯვის პროცესს. ესენია, კერძოდ: ამინომჟავები ტრიპტოფანი და ტიროზინი, ბეტა-კაროტინი; ვიტამინი E, სელენი; ლიკოპინი. მათგან მრავალი აფთიაქებში სინთეზირებული სახით იყიდება, მაგრამ გაცილებით უკეთესია ნატურალური ვიტამინებისა და მათი შემცველი კვების პროდუქტების მოხმარება.

კვების პროდუქტები აუცილებლად ახალი და ეკოლოგიური

მზე მეგობრად გაიხადეთ...



რად სუფთა უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში სარგებელზე მეტად ისინი ზიანს მოიტანენ. მრავალი სახეობა მთელი წლის მანძილზე ხელმისაწვდომია, ამდენად მათი გამოყენება არც დიდ ხარჯთანაა დაკავშირებული. მაგალითად, სტაფილო, გარუჯვისთვის ასევე ძალიან კარგია გარგარი, რომელიც დღეში 200 გრამი მაინც უნდა მიირთვათ, ასევე სასარგებლოა ატამი, კიდევ უფრო უკეთესი ფურძენი, ნესვი, საზამთრო, ასევე კარგია კანისთვის, ისპანახი, საქონლის წითელი ხორცი, საქონლისა და ღორის ღვიძლი, თევზეული და ზღვის პროდუქტები.

ამდენად, სწორი კვება თქვენ კანს ულტრაიისფერი გამოსხივებისგანაც და, შესაბამისად, უფრო დაბერებისგანაც დაცავს, ჯანსაღ და ლამაზ იერს დიდი ხნის მანძილზე შეუნარჩუნებს.

ნინო ალექსანდრიძე

რეკლამა „საქართველოს რესპუბლიკაში“ 299-62-77; 568 82-09-84.

კადრი



ცინცხალი ანეკდოტები

– მისი, შენი ცოლი პატიოსანია? – ეკითხება აბრამი.

– არ ვიცი, ისე ორი წელია, მასთან ვცხოვრობ და ჯერჯერობით არაფერი არ მოუპარავს.

– თსუთმეტი წელი ვცხოვრე სიდედრთან ერთად ერთ ბინაში და მაინც გადავრჩი.

– გითანაგრძნობ. მე კი ხუთი წელიც მეყო იმისთვის, რომ იგი საიქიოში გამესტუმრებინა.

– დედამინწილებს არა აქვთ ფული საიმისოდ, რომ სამყაროს დამშრალ რაიონებს წყალი მიანდონ, მაგრამ იმისთვის კი აქვთ თანხები, რომ ექებონ წყალი მარსზე.



ამის შემდეგ მართლაც უნდა დაისვას კითხვა: არის კი დედამინწაზე გონიერება?

მი საკუთარ ფიგურას თვალს ვადევნებ... იგი ღამღამობით მაცივრისკენ მიიპარება ხოლმე.

მიწის რუსეთი, ოდესა. ცოლი სამზარეულოში ფუსფუსებს, ქმარი ეზოში შეშას ჩეხავს. უცებ ზარბაზანმა დაიქუხა.

– აბრამ, რა მოხდა, რატომ ისვრიან, ხორცი მოიტანეს?

– არა, უფროსობა ჩამოვიდა მოსკოვიდან. რამდენიმე წუთის შემდეგ ისევ გაისროლეს.

– აბრამ, რაო, ხორცი მოიტანეს!

– არა, ხომ გითხარი, მოსკოვიდან უფროსობა ჩამოვიდა-მეთქი.

– რაო, პირველ ჯერზე ვერ მოარტყვს?

ავტორთა საჭურალო... რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

საქართველოს რესპუბლიკა SAKARTVELOS RESPUBLIKA

გამომცემელი: შპს „თბილისი-საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ. 599 79-76-79

ISSN 2233-3851 9 772233 385001

მთავარი რედაქტორი ალექო ასლანიშვილი 299-62-77; 599 56-81-86